№ 10 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 2 მან. ხუთშაბათი, 15 იანვარი 1920 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. განგვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ხუთშაბათს იანვრის 15 ს

აბესალომ და ეთერი.

პარასკევს, იანვრის 16, „ქეთო და კოტე", შაბათს, იანვრის 17 ოპერა მუშებისათვის „თქმულება შოთა რუსთველზე", კვირას, იანვრის 18, თარხან-მოურავის ბენეფისი „ტრავიატა".

საქართველოს სატრანსპორტო საზ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა საზოგადო კრების გაგრძელება გადადებულია და დანიშნულია შაბათს, ამა იანვრის 17, საღამოს 7 საათზე, საურთიერთო ნდობის ბანკის ბინაზე (დამფუძნებელ კრების ქუჩა № 6).

2—2 19 გამგეობა

დრამატიული საზოგადოების სარევიზიო კომისია

აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ ორშაბათს, 19 იანვარს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნებია: 1. მიღება ახალ წევრებისა, 2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3. არჩევნები ახალ გამგეობისა,4) მიმდინარე საკითხები. კრება შესდგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

5—2 24

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციული კურსები თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისათვის. (ტფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ახალი განყოფილება.

49 5—3

საქართველოს კოოპერატიულ ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი

აუწყებს ბანკის აქციონერთ, რომ ამ წლის 15 თებერვალს, ქ. ტფილისში, ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის შენობაში (კოოპერატივის ქუჩა № 15) დილის 10 საათზე დანიშნულია საქართველოს კოოპერატიულ ბანკის აქციონერთა პირველი საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1. მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტისა. 2. სააქციონერო თანხის გადიდება. 3. წესდების 49 მუხლის შეცვლა. 4. ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 5. გამგეობის და საბჭოს არჩევნები. 6. მიმდინარე საკითხები. წესდების 49—50 მუ. ძალით ყოველ კოოპერატიულ დაწესებულებას, რომელსაც აქვს ორი აქცია, უფლება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას გადამწყვეტი ხმის უფლებით. ბანკის აქციონერთ შეუძლიანთ ხმის უფლება გადასცენ სხვა აქციონერებს, რომელთაგანაც არავის არ შეუძლია ორზე მეტი რწმუნება ექონიოს. რწმუნება ხმის უფლების გადაცემის შესახებ ეძლევა წერილის ფორმით, რომელიც უნდა წარმოდგენილ იქნეს სამი დღით ადრე საზოგადო კრებამდე.

21 3—

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

სასამართლოს ზოგიერთ ხარჯის გადიდებისა.

1. 1914 წ. დეკემბრის 1-ის დროებითი კანონის (კანონთა კრებ. 1914 წ. № 366. მ. 3514) შესაცვლელად მუხლები სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესდებისა 121^{2}, 200^{2}, 200^{3}, 200^{4}, 849, 854, 855 და 860 და სისხლის სამართლის წარმოების წესდებისა 199 და 985 შეიცვალოს ამ გვარად:

სამოქალაქო წარმოების წესდების მუხლები.

124^{2}. მცოდნე პირს უფლება აქვს მოითხოვოს მოცდენისა და შრომის დასაფარავად სასყიდელი არა უმეტეს 200 მანეთისა, საგზაო და გამოკვლევაზე გაწეულ ხარჯის გარდა მე-862 მუხლის თანახმად.

დანარჩენი ნაწილი ამ მუხლისა ძალაში რჩება.

200^{2}. (ბოლო ნაწილი) იმ საქმისთვის, რომლის შეფასება სავალდებულო არ არის სასამართლოს ხარჯის რაოდენობას განსაზღვრავს მომრიგებელი მოსამართლე გადაწყვეტილების დადგენილების დროს, ხოლო ეს რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200 მან.

დანარჩენი ნაწილი ამ მუხლისა ძალაში რჩება.

200^{3}. ათი „კაპეიკ" ის ნაცვლად დაიწეროს „ერთი მანეთი.

ამ მუხლის დანარჩენი ნაწილი ძალაში რჩება.

200^{4}. (3. გ.) სარჩელი, რომლის ფასი არ აღემატება ას მანეთს.

ამ მუხლის დანარჩენი ნაწილი ძალაში რჩება.

849. იმ საქმისათვის, რომლის შეფასება სავალდებულო არ არის სასამართლოს ხარჯის რაოდენობას განსაზღვრავს ოლქის სასამართლო გარდაწყვეტილების დადგენის დროს, ათიდან სამი ათას მანეთამდე.

854. „სამი აბაზი"-ის ნაცვლად დაიწეროს „ხუთი მანეთი".

დანარჩენი ნაწილი ამ მუხლისა ძალაში რჩება.

855. „ოცი „კაპეიკი"-ს ნაცვლად დაიწეროს „ერთი მანეთი".

დანარჩენი ნაწილი ამ მუხლისა ძალაში რჩება.

860. მცოდნე პირის წარმოდგენილ დასკვნისათვის მის მოთხოვნილებისამებრ სასამართლო გადაწყვეტს გასამრჯელოს არა უმეტეს სამასი მანეთისა თანახმად 529 და 530 მუხლში აღნიშნული წესების გამოკვლევაზე გაწეულ ხარჯის გარდა.

სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების მუხლები:

199. „ოცი კაპეიკის" ნაცვლად დაიწეროს „სამი მანეთი".

დანარჩენი ნაწილი ამ მუხლისა ძალაში რჩება.

985. „სამი აბაზი"-ს ნაცვლად დაიწეროს „ხუთი მანეთი".

დანარჩენი ნაწილი ამ მუხლისა ძალაში რჩება.

11. დეკრეტი ესე ძალაში შედის 1920 წ. იანვრის 1-დან.

1919 წლის დეკემბრის 30-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში 200,000 მან. გადადებისა მოულოდნელ და წინასწარ გაუთვალისწინებელ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში ორასი ათასი (200,000) მანეთი მოულოდნელ და წინასწარ გაუთვალისწინებელ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 30.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

რკინისგზაზე სამხედრო წესების განგრძობისა.

1. განგრძობილ იქნეს რკინის გზაზე სამხედრო წესები ამა 1919 წლის დეკემბრის 18-დან 1920 წლის იანვრის 18 ედე.

2. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან რკინისგზის საგენერალ-გუბერნატოროს შესანახად ამა 1919 წლის დეკემბრის 18-დან 1920 წლის იანვრის 18-მდე სამას ორმოცდა ოთხი ათას შვიდას ოთხმოცდა ცხრა (344.789) მან. და ამას გარდა, ამა 1919 წ. ნოემბრის 15-დან 1919 წლის დეკემბრის 18-დე 40%-იანი დამატება ას ორმოცდა ჩვიდმეტი ათას ექვსას ცხრამეტი (157.619) მან. სულ ხუთას ორი ათას ოთხას შვიდი (502.407) მან.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 30 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდ. უფრ. ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

აფხაზეთის სახალხო საბჭოსათვის სამი მილიონი მანეთის სესხის მიცემისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში სამი მილიონი (3.000.000) მანეთი აფხაზეთის სახალხო საბჭოსათვის სესხის მისაცემად.

2. პირველ მუხლში აღნიშნული თანხა მიეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილ-ნაწილად 1920 წლის იანვრის 1-დან სამი თვის განმავლობაში ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით.

3. ვალის გადახდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ დაწყებულ იქნეს 1922 წლის იანვრის 1 დან და ყოველი წლის იანვრის 1-ს და ივლისის 1-ს საბჭოს მიერ შეტანილ იქნეს სახელმწიფო ხაზინაში ორას ორმოცდა ათი ათასი (250.000) მანეთი ვალის მთლად გადახდამდე.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

ბრძანება.

რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

2 იანვარი, 1919 წ., № 1

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებისა მე დღეის რიცხვიდან შევუდექი სამხედრო მინისტრის თანამდებობის ასრულებას.

სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

განკარგულებანი

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა.

20 დეკემბერი, 1919 წ., № 10.

1. მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების კანცელარიის სამსახურში და დაინიშნა კანცელარიის გამგის ამხანაგის თანამდებობაზე ალექსანდრე ნანეიშვილი ამა დეკემბრის 15 დან.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

მთავრობის საქმეთა მმართველისა.

10 იანვარი, 1920 წ., № 1.

1. მთავრობის საქმეთა მმართველობის კანცელარიის რეგისტრატორი საველე პავლეს ძე დევდარიანი განთავისუფლებულ იქნას აღნიშნულ თანამდებობიდან და დაინიშნოს ამავე მმართველობის არქივარიუსად ამა წლის 1 იანვრიდან.

2. ამავე მმართველობის კანცელარიის მანქანაზე გადამწერი ვასილ იოსების ძე ყიფიანი განთავისუფლებულ იქმნეს აღნიშნულ თანამდებობიდან და დაინიშნოს ხსენებულ კანცელარიის რეგისტრატორად ამა წლის 1 იანვრიდან.

3. მარიამ ალექსანდრეს ასული ყიფიანი დაინიშნოს მთავრობის საქმეთა მმართველობის კანცელარიის მანქანაზე გადამწერად ამა წლის 1 იანვრიდან.

4. ნინო ზაქარიას ასული დელიბაში დაინიშნოს მთავრობის საქმეთა მართველობის კანცელარიის რეგისტრატორად ამა წლის 1 იანვრიდან.

მთავრობის საქმეთა მმართველი
ქ. ჯაფარიძე.

შინაგან საქმეთა მინისტრისა.

29 დეკემბერი, 1919 წ., № 132.

ინიშნება: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ბუჰალტერის თანაშემწე იონა გიტოს ძე კიზირია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კონტორის გამგეთ 1919 წლის 11 დეკემბრიდან.

მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე.

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ყაჩაღის მოკვლა.

ზუგდიდის მაზრის კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებს, რომ ცნობილი ყაჩაღი იერე პერტაია დაჭერილი გაქცევას აპირებდა, მაგრამ მოკლულ იქმნა.

სროლა და ყაჩაღების დაჭერა.

შორაპნის მაზრის მილიციის უფროსი შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აუწყებს, რომ 4 იანვარს ჩხარის რაიონის კომისარს სროლა მოუხდა ყაჩაღ კალენიკე ჭანკვეტაძესთან, რომელიც მოკლულ იქნა. ამავე კომისარმა იმ დღესვე მილიციელების დახმარებით დაიჭირა პიმენ მესხის სამი თავდამსხმელი.

ყაჩაღების დაჭერა.

სენაკის მაზრის მილიციის უფროსი შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებს, რომ მას

დაუჭერია ცნობილი ყაჩაღი მელიტონ ბიჭისაძე კალანდარაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა „სტერის“-ის სისტემის რევოლვერები პატრონებით და მიწერ-მოწერა სხვა ყაჩაღებთან. მათ განზრახული ჰქონიათ მაზრაში რამდენიმე თავდასხმის მოხდენა.

მამულების იძულებით ჩამორთმევა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ ნება დართო თელავში ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოთ იძულებით ჩამოერთვათ დედერერის „კახეთის მცირე ნდობის საზოგადოების“ უძრავი ქონება.

—

შინაგან საქმეთა მინისტრისავე მოხსენებით მთავრობამ ნებადართო სიღნაღის სამაზრო ერობის სასარგებლოთ იძულებით ჩამოერთვათ უძრავი ქონება სვიმონ არტემის ძე ოთაროვის მემკვიდრეებს და ნ. ამირხანოვს. ხოლო საკითხი იმავ ერობისთვის ფარსადანოვის ქონების იძულებით ჩამორთმევის შესახებ მთავრობას არ გაურჩევია ზოგიერო ფორმალურ ნბარეების შეუსრულებლობის გამო.

სურსათის გაზიდვის ასაკრძალავათ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს:

მომარაგების სამინისტრო გვაუწყებს, რომ მიუხედავად მის მიერ მიღებულ ყოველგვარ ზომებისა საქართველოს საზღვრებიდან სურსათის გაზიდვის შესაწყვეტად, მაშინ, როდესაც რკინის გზით ხორბლის გაზიდვა საქართველოდან შეწყვეტილია, მას მოსდის ცნობები, რომ ხორბალი ფარულად გააქვთ საზღვარგარეთ გზატკეცილებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარია გაუწყებთ რა ყოველივე ამას, გთხოვთ მიიღოთ შესაფერი ზომები და გაცეთ განკარგულება თქვენდამი რწმუნებულებულ დაწესებულებების და ხელქვეით პირებისადმი, რათა შეწყვეტილ იქნეს საზღვარ-გარეთ შარა გზებით ფარულად ხორბლის გაზიდვა.

შუამდგომლობა ქალ. ყვირილისთვის სახელის გამოცვლის შესახებ.

ქალ. ყვირილის თვითმართველობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს, რათა ქალ. ყვირილას ამ სახელის ნაცვლად მთავრობამ ოფიციალურად უწოდოს ზესტაფონი. შინაგან საქმეთა სამინისტრო ამის შესახებ მოხსენებას უდგენს მთავრობას.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

თანხების გაცემის ახალი სისტემა.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო ამჟამად იმუშავებს ს. ხელმწიფო მამულებისთვის თანხების მიცემის ახალ სისტემას.

აგრონომიული ყრილობა

საბოლოოთ გამოირკვა, რომ აგრონომიული ყრილობა 25 იანვარს შესდგება. ამ ჟამათ სწარმოებს სხვა და სხვა სექციების ხდომები.

სასოფლო მეურნეობის წიგნების გამოცემა

უკვე იბეჭდება და მალე გამოვა პოპულიარული გამოცემები ქართულ ენაზე სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგიდან.

ჟურნალი „მეურნე“

აგრონომიულ ყრილობის მომწვევმა საორგანიზაციო კომიტეტმა დაამთავრა წინასწარი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ჟურნალ „მეურნეს“ გამოცემათ. განზრახულია ჟურნალის გამოცემა 25 იანვრისთვის, აგრონომიულ ყრილობის გახსნის დღეს.

მილოცვები.

მთავრობის თავმჯდომარეს ბ. ნოე ჟორდანიას წარუდგნენ სამხედრო მისიის მეთაური ნონკარი, რომელმაც მიულოცა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება.

მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგნენ აგრეთვე სომეხთა მწერალი და მოღვაწე ოვანეს თუმანიანი, ტფილისში მყოფ უცხო სახელმწიფოს მისიათა წარმომადგენელნი.

—

მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშები მიიღო ბათუმიდან:

„მოკავშირეთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო აღფრთოვანებით მოგესალმებით თქვენ, ჩვენი საყვარელ სამშობლოს ღირსეულ ბელადს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ნავი გამოცდილი მაგარი ხელით აბობოქრებულ ზღვის ტალღებიდან მოჰყავს საიმედო ნავთსადგურებისაკენ. ბათუმის ქართველთა სახელით, განურჩევლათ სარწმუნოებისა, გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოთ. გამოვთქამთ ღრმა რწმენას, რომ საქართველოს ხელოვნურათ მოწყვეტილი მისი განუყოფელი და განუყრელი ნაწილი ბათუმის ოლქი მალე შეუერთდებოდეს დედა სამშობლოს. გაუმარჯოს გაერთიანებულ დამოუკიდებელ საქართველოს. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელოვან მთავრობას“.

ქართველ მუსულმანთა და ქრისტიან ქართველთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეები მამედ-ბეგ აბაშიძე და გრიგოლ ელიავა, კონსული ჩინეთიშვილი.

ქართველი მუსულმანობა მთელ ქართველ ერთან ზეიმობს მოკავშირეთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. გვწამს, რომ მალე დადგება სანატრელი ჟამი ბათუმის ოლქის დედა სამშობლო საქართველოსთან შეერთიანებისა ხელოვნურათ მოწყვეტილნი დედა სამშობლოსთან მოუთმენლათ მოველით ამ სანატრელს დროს. თქვენი ბრძნული საქმიანობა სამშობლოსადმი თავდებია იმის, რომ ეს ჟამი შორს არ არის.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის და მეჯლისის თავმჯდომარე მამედ ბეგ აბაშიძე.

პატარა შენიშვნები.

აღმოსავლეთის რევოლიუციის ცხელსიმაგრე.

ერთმა სომხურმა გაზეთმა, რომელიც ახლახან გამოვიდა ტფილისში, ამიერ-კავკასიას საერთოდ და კერძოთ საქართველოს უწოდა აღმოსავლეთის რევოლიუციის ცხელსიმაგრე. საკითხი შეეხებოდა რუსეთის ბოლშევიკების წინადადებას საქართველო-ადერბეიჯანისადმი დენიკინის წინააღმდეგ კავშირს. ვინაიდან ჩვენ კარგად ვიცით რუსეთის ბოლშევიზმის ლტოლვის მიზნები აღმოსავლეთისაკენ, შემცდარი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ზემოხსენებულ გაზეთის აზრი გამომხატველია ბოლშევიკების მისწრაფებათა.

რუსეთის ბოლშევიზმი ებრძვის კაპიტალიზმს საერთაშორისო მასშტაბით. თუ იმ შიმშილს, სიცივეს და სიკვდილს, რომელნიც რუსეთში არიან გამეფებულნი, სოციალიზმის და რევოლიუციის მონაპოვრათ ჩავთვლით, ბოლშევიკების ბრძოლა დაგვარგვინებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ არ დარჩა საკმარისი მარტო რუსეთში „სოციალიზმის დამყარება“. უფრო განვითარებული ევროპის მუშათა კლასი არ გაჰყვა ბოლშევიზმს. ეხლა ბოლშევიკებმა პირი აზიისაკენ იბრუნეს...

საბჭოთა რუსეთს არა ერთხელ აღუთქვამს დახმარება აზიის მუსულმანებისათვის იმ ბრძოლაში, რომელიც მათ უნდა დაიწყოთ ევროპის კაპიტალიზმის უღლიდან თავის დაღწევად. ამ მიზნით თურქეთან სპარსეთიდან ინდოეთში ბოლშევიკები გზავნიდენ აგიტატორებს, ოქროს და ლიტერატურას...

მოკავშირეთა სახელმწიფოების გამარჯვებამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ოსმალეთის იმპერიალისტების იდეას, რომ გერმანია-ავსტრია თან კავშირით გაერთიანებულიყო თუ მთელი მსოფლიოს მუსულმანობა არა, მისი მოზრდილი ნაწილი მაინც. ოსმალეთი-სპარსეთი-ავღანისტან-ინდოეთი, აი რა იყო უპირველესი მიზანი ოსმალთა იმპერიალისტებისა.

საქართველოსთვის ოსმალთა იმპერიალისტების მიზანი აშკარა გახდა, როცა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას ვაწარმოებდით 1918 წლის დასაწყისში ჯერ ტრაპიზონში და შემდეგ ბათუმში. მაშინ აღმოჩნდა, რომ საქართველო ოსმალეთისთვის ამ გზაზე პატარა დაბრკოლებებს შეადგენდა, რომლის გადასალახავად ის არც კი ბოდიშობდა. მაშინ გამოირკვა, რომ ოსმალეთის მისწრაფება ეწინააღმდეგობა მისი მოკავშირის—გერმანიის მიზნებს და სწორეთ ამ წინააღმდეგობამ გვიხსნა აოხრებისაგან. მაგრამ ოსმალეთის ლტოლვა აღმოსავლეთისაკენ ამით არ შეჩერებულა. მან სრულიად დასტოვა, ანუ იძულებული იყო დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია, გარდა ბათუმის ოლქისა და ერზერუმ—ბათუმ—ყარსით ჯარები შეიყვანა ჩვენს მეზობელ აზერბეიჯანში, გამაგრდა ბაქოში, წაიწია დაღესტანისაკენ და შეჩერდა პეტროვსკში.

1918 წელს ყველას გაგებული ჰქონდა უკვე ოსმალთა გეგმები. რომ დასცლოდა ოსმალეთი, ამით არ დაკმაყოფილდებოდა. ერთმორწმუნე თურქესტანი, სპარსეთი, ინდოეთი აი რა იყო ოსმალეთის დიპლომატიურის მზრუნველობის საგანი, ოსმალთა ჯარების სამხედრო მთავარი შტაბის სტრატეგიული პლანი!..

მართალია, ოსმალეთი დამარცხდა ფიზიკურად, მაგრამ მისი იდეია არ დამარცხებულა.

და სწორედ ასეთ პირობებში გაჩაღდა ბოლშევიკური აგიტაცია მუსულმანობაში. ბოლშევიზმის მიზანია მუსულმანობის განთავისუფლება ევროპის და განსაკუთრებით ინგლისის კაპიტალიზმისაგან. მუსულმან პროლეტარიატს, მშრომელ ხალხს მოუწოდებენ ბოლშევიკები. მაგრამ ვინ არ იცის, რომ მუსულმანობა ჯერ კიდევ არ არის დაყოფილი კლასებათ. იქ ერის ცხოვრების მთავარი ფაქტორი სარწმუნოებაა. ამიტომ იყო, რომ ბოლშევიკების გამოძახილს გაეხმაურენ... უკმაყოფილო ხალხის სახელით უმთავრესად მოლები...

ბოლშევიკებიც უარს არ ამბობენ—მათი მიზანია ყოველგვარი მასალ, ინგლისის წინააღმდეგ გამოიყენონ. ასევე ფიქრობს საერთოდ მუსულმანობა. აქვს გასავალი მასში ბოლშევიზმს მხოლოდ იმიტომ, რომ ის მიმართულია ინგლისის, ევროპის და საერთოდ იმათ წინააღმდეგ, ვინც მუსულმანობის გაერთიანებას აფერხებს.

ერთმანეთს უპირდაპირდება საბრძოლველათ აზია და ევროპა. და რაც საკვირველია, სწორედ აზიის მხარეზე სდგას ბოლშევიზმი!..

ბოლშევიკური აგიტაცია პროპაგანდა ამ ნიადაგზე დღითი დღე ძლიერდება. ზოგიერ პრესაშიც კი იცავს ბოლშევიზმს.

რუსული საორშაბათო გაზეთ „პონედელნიკ“-ში მაჰმედ მალსაგოვი ეხება რა ოსმალეთის საკითხს, სხვათა შორის, შემდეგს სწერს: „დამოუკიდებლობის იდეა, რომელმაც აგრე აღაფრთოვანა აღმოსავლეთის ერები მათ უთანასწორო ბრძოლაში, არის ერთ ერთი ფაზისი ევოლიუციის გზაზე... მისი აღმოფხვრა ყოველად შეუძლებელია. ის დედის რძესთან ერთად ახლად შობილს ესი ხლხორცება, რომლის ენის ამოდგმისთანავე პირველი ვედრება ღვთისადმი ასეთია: „ღმერთო დასწყევლე ინგლისი“. როგორი უნდა იყოს ყველა იმ მუსულმანთა ორიენტაცია, რომელიც თავგამოდებით იბრძვიან? ხალხთა ლიგა? არა! ვინაიდან, ის წარმოადგენს იმ ბატონთა ჯგუფს, რომელთაც მრავლათ ჰკვლავ მონები და მაშასადამე, თავიანთ უფლებებს არ დასთმობენ. დაჩაგრულებმა თავიანთი ბედი ჭუნდა დაუმორჩილონ დაჩაგრულებსვე—პროლეტარიატს, რომელმაც აჯანყების ჩირაღდანი აღმართა“.

ამავე აზრს ატარებს თავის წერილში ა. აფანასიევი. (ტფილისის „ნა რუბეჟე“ № 4—წერილი „აღმოსავლეთის პრობლემა“). ის აღნიშნავს აღმოსავლეთის ხალხთა მომავალი კავშირის საჭიროებას. მისი თქმით „უნდა შეიქმნას ეკონომიურად სუსტი ხალხების საერთო ფრონტი დასავლეთ ევროპის და ამერიკის იმპერიალისტური გიგანტების მონობის წინააღმდეგ“.

მკითხველი, ალბათ, ამ გვარი პრესიდან არ მიელოდა ასეთ აზრს. მაგრამ დავანებოთ თავი ასეთი მაგალითების მოყვანას და გადავიხედოთ თუ რა ხდება ფაქტურად ოსმალეთში, ნაციონალური მოძრაობა იქ დღითი დღე ფართოვდება და ღრმავდება. ოსმალეთის დამოუკიდებლობის მომხრეთა, უკეთესებს მოწინააღმდეგეთა რიცხვი მრავლდება. ოსმალთა ნაციონალისტების რიცხვი უმთავრესად მიმართულია სომხებისა და ბერძნების წინააღმდეგ. ნაციონალისტების ცნობილი ბელადი მუტაფა ჯემალ—ფაშა, რომელიც თავისი დივიზიებით არზრუმში დგას და ბევრჯერ იმ ზომამდე გამწვავდა მასსა და ოსმალეთის მთავრობის შორის მდგომარეობა, რომ კინაღამ ომი დაიწყო, 18 დეკემბერს არჩეული იქნა ქალაქ არზრუმიდან ოსმალეთის პარლამენტის დეპუტატად.

ოსმალეთის მდგომარეობა, იქაური ნაციონალური მოძრაობა მიტომაცაა ჩვენთვის საყურადღებო, რომ სწორედ ამ მოძრაობაში ჰპოვა რუსეთის ბოლშევიზმმა გამოძახილი. ეს მოძრაობა ბოლშევიზმისთვის ნედლი მასალაა დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული. ამ მოძრაობის მეთაურთ კი სურთ გამოიყენონ თავიანთი მიზნებისთვის რუსეთის ბოლშევიზმი.

არ არის ინტერესს მოკლებული, თუ რას ფიქრობს ჩვენი მეზობელი ადერბეიჯანის მუსულმანობა? „ვოზროჟდენიეს“ მე-7 ნომერში ა. შჩეგოტიევი ასე აგვიწერს იქაურ მდგომარეობას: „წითელი ტალღა უახლოვდება კავკასიის საზღვრებს. მისი მოახლოება, რა თქმა უნდა, არ რჩება შეუჩნეველი პოლიტიკური პარტიების მიერ, რომლებიც დღემდე ან მტრულად ეპყრობოდენ ბოლშევიზმს, ან მათთვის არ წარმოადგენდა ის რაიმე განსხვავებას, ახლა არა თუ ყველა მემარცხენე პარტიები, არამედ—მუსავატელების მემარცხენეფრთაც კი თანახმანი არიან ბოლშევიკებთ ნეთანხმების.“ თვით წერილის ავტორის აზრია“, რომ ბოლშევიკებთან მოლაპარაკება უფრო ადვილია, ვიდრე დენიკინთან—ეს ყველასათვის ცხადია.“

ასეთია საერთოდ მდგომარეობა და არა გვგონია ის სახეირო იყოს ჩვენი დემოკრატიისთვის. ლოზუნგი მართლაც წარმტაცია-აღმოსავლეთ ერთა დამოუკიდებლობა, თავისუფალი კავშირი, სრული განთავისუფლება ევროპის და ამერიკის მონობისაგან. ყველაფერი ეს კარგია სიტყვიერათ, მაგრამ, განა ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ გატარდება ის ცხოვრებაში, რა დაგვრჩება საქმეთ?.

ვინ იქნება მაგალითად ტონის მიმცემი აღმოსავლეთში—საბჭოთა რუსეთი, რომელსაც შიმშილი-სიცივე-სახდი ანადგურებს, ოსმალეთის სულთანი თუ სპარსეთის შახი? აი ეს კითხვა უნდა დაუდგეს წინ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ყოველ ჩვენგანს.

აკაკი ჩხენკელის მუსაენება

13 იანვარს აკ. ჩხენკელმა სახელმწიფო თეატრში მოხსენება გააკეთა. თეატრი ხალხით იყო გაჭედილი.

— საქართველო აღსდგა მკვდრეთით, დაიწყო მომხსენებელმა.

— ჭეშმარიტად აღსდგა—იგრიალა ხალხმა. სიხარულისაგან ხალხში ქვითინიც კი მოისმოდა.

— ფეხზე ადგომით პატივი ვცეთ საქართველოსათვის დაღუპულ მებრძოლთ, რომლებმაც მოუმზადეს ნიადაგი მომავალ საქართველოს.

— გულწრფელი სალამი მეზობელ ერებს ადერბეიჯანს და სომხეთს, რომლის დამოუკიდებლობის საკითხი დასმულია და მალე განხორციელდება,

— სალამი ჩვენ თანამოძმე სამუსლიმანო საქართველოს.

— სალამი მთას, რომელსაც მოსდგომია შავი რეაქციის შავი გენერალი დენიკინი და ჩაყლაპვას უპირებს. ისმის ტაშის გრიალი.

გაუმარჯოს ადერბეიჯანს, მთას, სომხეთს, ისმის ხმები. შემდეგ მომხსენებელი ეხება რა საქართველოს უკანასკნელ წლების ცხოვრებას, აღნიშნავს ოთხ დატას: პირველი 17 ნოემბრის 1917 წელს, როდესაც აი აქ აღიმართა წითელი დროშა, როდესაც ჩაეყარა საძირკველი თანამედროვე საქართველოს, როდესაც დამონებულმა ქართველმა ერმა პირველად განიცადა ეროვნული თავისუფლების სიტკბოება, ძლიერი იყო მაშინაც საქართველო სულიერად, მაგრამ ის სავსებით არ იყო ხორც შესხმული, აკლდა სხეული, მაგრამ 26 მაისს 1918 წელს საბოლოოდ ჩაეყარა საძირკველი საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველომ სხეული, შეისხა ეს იყო მეორე დატა, მესამე კი 1919 წლის 12 მარტი, როცა შეიკრიბა საქართველოს ინტერესების გამომხატველი უზენაესი ორგანო, დამფუძნებელი კრება, რომელმაც დაადასტურა ისტორიული აქტი, აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა. მეოთხე—კი ეს იყო გუშინდელი დღე 12 იანვარი, როდესაც მივიღეთ საინტერესო ცნობა, რომ საზავო კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

გაუმარჯოს მოკავშირეთა სახელმწიფოს.

— გაუმარჯოს, ვაშა, ისმის მხურვალე ტაში. შემდეგ მომხსენებელი ეხება რუსეთის ომს და აღნიშნავს თუ რა ვაჟკაცურის გმირობით იბრძოდენ ქართველნი მებრძოლნი ამ ომში. ამ ფაქტს, ვერც მაშინდელი მესვეურნი ყოფდენ უარს, ისინი ქება დიდებით იხსენიებდენ ქართველ მებრძოლთა; მაგრამ სპეციალურად, ქართველნი მებრძოლნი არ იბრძოდენ საქართველოს მომავლისათვის, ისინი იბრძოდენ დიდი რუსეთის მთლიანობის დასაცავად, მაგრამ მაშინდელმარ უსეთმა ქართველი ერის ასეთი თავგანწირვა ვერ დაიფასა, ხშირად მის ლოიალობაშიაც კი ეპარებოდა ეჭვი და სხვა და სხვა ბრალდებებს ახვევდენ თავზეო. შემდეგ საქართველო სრულიად მიატოვეს. ჩვენ კარს მოგვადგა ჩვენი ისტორიული მტერი ოსმალეთი, რომელიც ფიზიკურ განადგურებას უქადდა ერს, მაგრამ საქართველომ პოლიტიკით სძლია, დაამარცხა ოსმალეთი. ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დროს ჩვენ და ჩვენი მეზობელი სომხეთი ერთად ვიყავით; ევროპა უფრო სიმპატიურის თვალით უყურებდა სომხეთის საზავო დელეგაციას, მაგრამ ჩვენ ეს არამც თუ გვშურდა გვიხაროდა კიდეც, რადგანაც ჩვენი და სომხეთის ინტერესები ერთმანეთთან მჭიდროთ იყო დაკავშირებული. ჩვენ იმ თავითვე ვიყავით დარწმუნებული, რომ ბოლშევიკების მიერ შეკრული ზავი, არ იყო ნამდვილი, საერთაშორისო ზავი.

შემდეგ აღნიშნავს, თუ როგორ უყურებდა ევროპა საქართველოს და ამბობს: ევროპაში სრულიად არ ჰქონდათ წარმოდგენა საქართველოს შესახებ. საქართველოს საკითხი ევროპაში უძველესად იყო. საქართველოს ამერიკის რუქაზე ეძებდენ. მათ ლექიკონში აღნიშნულია, რომ ქართველები ლამაზი ხალხია, ყავთ ლამაზი ქალები და სხვა ასეთი წვრილმანი. არსებითად ევროპას საქართველოს შესახებ წარმოდგენა არ ჰქონია, ის მიიჩნდათ რუსეთის განუყოფელ ნაწილად. დღევანდელი საქართველოც მათთვის ბნელეთით იყო მოცული: როდესაც გაიგეს დელეგაციის ჩამოსვლა კ ჩხეიძის მეთაურობით, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა—როგორ გამოგზავნა რუსეთმა ქართველებიო. ჩვენ ჩასვლისათანავე შეუდექით მუშაობას: მოვაწყვეთ პრაპაგანდა-აგიტაცია. მუშაობა დავიწყეთ ინტერნაციონალიდან, რომელსაც სამი კონფერენცია ჰქონდა. ინტერნაციონალში ბევრი გავლენიანი პირები იყვნენ, არა მარტო სოციალისტური პარტიებიდან, არამედ მთავრობის წრეებიდანაც კი. საქართველოს დამოუკიდებლობა პირველად ინტერნაციონალმა აღიარა, მაგრამ ის ამით არ კმაყოფილდებოდა: ეწეოდა აგიტაციას, სწერდა გავლენიან გაზეთებში საქართველოს სასარგებლოთ წერილებს. უმაღლეს საბჭოს წარუდგინა მემუარი, როგორც საქართველოს ისე პატარა ერების შესახებ. ჩვენმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო არა მარტო მეომარ სახელმწიფოებში, არამედ ნეიტრალ სახელმწიფოებშიაც: საქართველოს საკითხი ნეიტრალ სახელმწიფოებში საკმაოდ დამუშავებულია და მისი გადაწყვეტა დღიურ წესრიგშია დასმული. ნიადაგი მზად არის და იმედი მაქვს სულ ახლო მომავალში ჩვენ გვიცნობს აგრეთვე ნეიტრალური სახელმწიფოებიც.

არგენტინამ პირველად აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა. ამ ნაბიჯმა დიდი გავლენა იქონია ჩვენ სასარგებლოდ,—გაუმარჯოს, ვაშა მას (ტაში). შემდეგ ეხება საქართველოს რუსეთთან დამოკიდებულებას და ამბობს: ჩვენი პრობლემა დაკავშირებული იყო რუსეთის პრობლემასთან; რუსეთზე კი ძალიან მრუდე წარმოდგენა ჰქონდათ ევროპაში: რუსის ხალხი, რუსეთი ერთი მეორის დამატებათ მიაჩნდათ. რუსეთის პრობლემა ევროპისთვის არ არსებობდა. რუსეთი თითქოს ბუნებრივი მოვლენა იყო, რომელიც მუდამ ასეთი უნდა დარჩენილიყო. ევროპას ფიქრადაც არ მოსდიოდა, ის აზრი, რომ რუსეთს გარდა, რუსეთში სხვა ერებიც არსებობდენ.

რუსეთის ძალები დაიქასა, რუსეთის შინაგანი ძალა შთანთქა ანარქიის ცეცხლმა, რუსის ხალხი ვერ შეხვდა მომზადებულათ მომენტს. რუსეთი ვერ აწვდა მომენტის სიმაღლემდე; პატარა ერები უფრო მომზადებულათ შეხვდნენ მომენტს. რუსეთს ესაჭიროება ფედერატიული კავშირი, ფედერატიული შტატები, სხვა გზით რუსეთი ვერ შეძლებს განვითარებას; რაც შეეხება ჩვენ და რუსეთის დამოკიდებულებას, უნდა ითქვას, რომ არამც თუ რუსეთის რეაქციონური ძალები, არამედ ზოგი სოციალისტური პარტიებიც კი ეწინააღმდეგებოდენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ისინი პირიქით ებრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობას, ეწევიან მის წინააღმდეგ აგიტაციას. ამ დღეებში მოხდება ერევანში კონგრესი, სადაც აპირებენ ჩვენს წინააღმდეგ კამათს. მარტოვი და სხვა ასეთი გავლენიანი პირებიც კი მკაცრად გვიხსენიებენ. ესერები უფრო სიმპატიურის თვალით უყურებენ საქართველოს საკითხს. რუსეთის ასეთი დამოკიდებულება ჩვენთან პირდაპირ გაუგებარია: გეოგრაფიულად ჩვენ რუსეთთან სრულიად არა ვართ დაკავშირებული, ჩვენ მას წინ არსად არ ვეღობებით; რუსის კაპიტალსაც ჩვენში ნაკლებად ქონდა გავლენა, უფრო უცხო კაპიტალისტები მუშაობდენ. ასე, რომ რუსეთი ჩვენთან ეკონომიურადაც არ იყო დაკავშირებული; საქართველო და საერთოდ ამიერ-კავკასია იყო ბაზა რუსეთის იმპერიალიზმისა... თავისუფალი საქართველო უფრო ადვილად შეძლებს რუსეთთან მეგობრული კავშირის დამყარებას. დამოუკიდებლობის ხანაშიაც საქართველომ დიდი ლოიალობა გამოიჩინა რუსეთისადმი, მე ვამაყობ ამ ლოიალობით (ტაში). სჯობია ჩვენ ცალ-ცალკე დავრჩეთ, რომ ქართველი ერის დაკოდილი გული მოშუშდეს, ამას მოითხოვს, როგორც ჩვენი ისე რუსეთის ინტერესები. ჩვენ რუსეთს შევხვდებით, ჩვენ მასთან მუდამ გვექნება მეგობრული კავშირი, მაგრამ ამისათვის სულაც არ არის საჭირო, რომ ჩვენ ერთად, ერთ ფარგლებში დავრჩეთ...

ქართველმა ერმა დაამტკიცა, რომ მას შესწევს უნარი პოლიტიკური არსებობისა; ახლად დაარსებულ სახელმწიფოთა შორის არც ერთს სახელმწიფოს არ მოუწყვია სახელმწიფოებრივი ცხოვრება ისე, როგორც ეს შესძლო პატარა საქართველომ. საქართველოდან დაბრუნებული უცხოელები ევროპაში ქება-დიდებით იხსენიებდენ საქართველოს. მაგრამ სახელმწიფოებრივი სიმაგრისთვის არ კმარა მარტო მტკიცე პოლიტიკა, საჭიროა ეკონომიურად აღორძინებაც და უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენ ცუდ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ თუ გადავავლებთ თვალს ევროპას, დავრწმუნდებით, რომ ეკონომიური აპარატი იქაც სავსებით მოშლილია, და შედარებით ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა. ეკონომიურ პირობების განსამტკიცებლად არ კმარა ერთი და ორი წელიწადი ისიც დღევანდელ პირობებში, მაგრამ ამ გარემოებამ გული არ უნდა გაგვიტეხოს: პატარა შვეიცარია ჩვენზე უფრო სუსტი იყო ეკონომიურად, იქ ნედლი მასალა სრულიად არ მოიპოვება, მაგრამ იქ მაინც შესძლეს ეკონომიის განვითარება, საქართველო კი ნედლი მასალით მდიდარია ის შესძლებს ბუნებრივი სიმდიდრე ჯეროვანად გამოიყენოს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ბოლშევიზმს: ბოლშევიზმი შეკავშირებულია ოსმალეთის იმპერიალიზმთან. ბოლშევიზმის გამარჯვებას დღეს ტაშს უკრავენ რუსეთის რეაქციონერები, რადგანაც ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ბოლშევიკები აღადგენენ ძველ რუსეთს. მართლაც და ეხლანდელი ბოლშევიზმი უფრო ნაციონალისტური მოძრაობით ხასიათდება. პირველ ბოლშევიზმს უფრო ემჩნევოდა კომინისტური ელფერი. ბოლშევიკების მიზანი იყო დასავლეთ ევროპაში გადაეტანათ ბოლშევიზმი, იქ მათ საამისოდ მზად ეგონათ ნიადაგი, მაგრამ მოსტყუვდენ; დასავლეთ ევროპის მუშათა კლასი გამოფხიზლდა, დროზე შესძლო ბოლშევიზმის დაფასება. ბოლშევიკებმა სოციალიზმის დამყარება მოინდომეს, მაგრამ ეს შეუძლებელია ღღეს, როდესაც კაპიტალი განუვითარებელია; ჯერ საჭიროა დოვლათის დაგროვება წარმოების განვითარება, შემდეგ შეიძლება სოციალიზმზელაპარაკი. ბოლშევიკები თითონვე რწმუნდებიან თავიანთ შეცდომაში; შესცვალეს თავის მოქმედების ხაზი რუსეთში: 8-საათის სამუშაო დღე გააუქმეს, ჩამორთმეული ქონება, წისქვილები, ქარხანა-ფაბრიკა თუ სხვა ისევ პატრონებს დაუბრუნეს, ევროპას ეხვეწებიან მოდით აიღეთ კონცესიები, დაატრიალეთ კაპიტალი... დღევანდელ რუსეთის სახელმწიფოებრივობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია: იქ სახელმწიფოებრივი აპარატი სულაც არ არსებობს, ერთ კუთხეში, იმის და მიხედვით, თუ რომელი ძალაა ვაბატონებული, რაოდენიმე სხვა და სხვა ერთი მეორეს მოწინააღმდეგე კანონი არსებობს, ძალა უფლება ძალმომრეობაზეა დამყარებული. ბოლშევიკებს იმპერიალიზმის საშუალებით სურთ აღადგინონ ძველი რუსეთი. დღეს ბოლშევიკებს სურთ კავშირი ჩვენთან, არა დენიკინის წინააღმდეგ, არამედ უფრო გაიკაფონ გზა... მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც გვსურს ბოლშევიკებთანაც კეთილი განწყობილება ვიქონიოთ, და თუ ისინი მაინც მოინდომებენ ჩვენი საზღვრების გადმოლახვას, ჩვენს ფეხქვეშ გათელვას, სამაგიერო პასუხს მიიღებენ ჩვენგან... მომხენებელი ათავებს და მოუწოდებს, დამსწრეთ, რომ პსიქოლოგიურად შეეისისლხორცოთ საქართველო დამოუკიდებლობა.

მოხსენების გათავების შემდეგ დამფუძნებელი კრების წევრი პ. საყვარელიძე წინადადებას აძლევს დამსწრეთ, რათა მისალოცი დეპეშა გაეგზავნოს ადერბეიჯანს, აგრეთვე სალამი მთის რესპუბლიკას და სომხეთს, რომლის დამოუკიდებლობის აღიარება არ მოხერხდა ჯერ, რადგანაც სომხეთის საკითხი დაკავშირებულია ოსმალეთის საკითხთანო. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. ხალხი, ვაშას ძახილით და ტაშით ნასიამოვნები დაშალა საღამოს 7-საათზე.

ტფილისის ქალაქის საგჯო

საზეიმო სხდომა.

13 იანვარს ქალაქის თვითმართველობის შენობა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. გირლიანდებითა და ნოხებით მორთული, ელექტრონით საგანგებოთ განათებული ქალაქის თვითმმართველობის შენობა იპყრობდა გამვლელთა ყურადღებას. შესავალ კარებიდან საბჭოს დარბაზი მორთული იყო ხალიჩებით და ცოცხალი ყვავილებით.

სხდომა გაიხსნა საღამოს 8½ საათზე. სხდომას დაესწრენ: საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, მთავრობის მთელი შემადგენლობა, სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ხატისოვი, ბრიტანეთის უმაღლესი წარმომადგენელი ფორდროპი, ჰასკელი, პოლკოვნიკი ჰაბბა, უცხო სახელმწიფოთა სხვა წარმომადგენელნი, საქართველოს კათალიკოსი ლეონიდე, დამფ კრების წევრნი, პროფ კავშირების წარმომადგენელნი და აუარებელი საზოგადოება. პირველ სიტყვას ამბობს თავმჯდომარე **გრ. გველესიანი.** მოქალაქენო! გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას მოკავშირეთა მიერ. როდესაც ქართველი ერი როგორც ერთი კაცი ხარობს, როდესაც ძლევამოსილი დემოკრატია, გამარჯვებას დღესასწაულობს — ჩვენ ვამბობთ, რომ მართლაც დიდია ეს დღე. 120 წელი ქართველი ერი სულს ღაფავდა მონობის მწარე უღლის ქვეშ. დღეს მან მოიპოვა თავისუფლება, მაგრამ ეს მას დღეს კი არ მიუღია, ეს მან 26 მაისს აღიჭედა. ამ დღეს ქართველმა ერმა სთქვა, რომ მას უნდა თავისუფლება და უპირველესად ყოვლისა ამ დღეს გილოცავთ. დღეს განხორციელდა ევროპის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ეს უკანასკნელი არის ორი გარემოების შედეგი: მისი ხანგრძლივი ბრძოლისა და კულტურულად ამაღლების და მისი სახელმწიფო შენების უნარისა, რომ მან მოკლე ხანში მთელ ქვეყანას დაუმტკიცა, რომ მას შეუძლია თავისუფლად და დამოუკიდებლად ცხოვრება. ვისურვოთ მოპოებულ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცება.

გაუმარჯოს ქართველ ერს. გაუმარჯოს ქართველი ერის მძლავრ ხელს და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (ტაში, მუსიკა ასრულებს ნაციონალურ ჰიმნს). მომეცითნება ქალაქის საბჭოს სახელით მადლობა გამოუცხადო დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რომელთაც დახმარება გაგვიწიეს ჩვენ დამოუკიდებლობის მოპოებაში (ხალხი ფეხზე დგება და ტაშს უკრავს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ).

ივ. გომართელი. ბატონებო! ქართველი ერის ბრძოლა ბრწყინვალეთ დაგვირგვინდა, აღსდგა დემოკრატიული საქართველო. ჩვენ ბევრი ჭირი გადვიხადეთ და ჯილდოთ მრავალი ტანჯვისა და უთანასწორო ბრძოლისა, ჩვენ ვდღესასწაულობთ დღევანდელ დღეს. ეს არის შემდეგი ქართველი ერის ბრძოლისა, მისი პოლიტიკური მომწიფებისა და კულტურულ ამაღლებისა. რდევანდელი დღე დაგვირგვინებაა წარსული ბრძოლისა, რომელსაც საქართველოს დემოკრატია აწარმოებდა. მთავრობა და საზღვარ გარეთ გაგზავნილი ჩვენი დელეგაცია მუშაობდენ, რომ ეს დღე ქართველებს გასთენებოდა და აი თქვენ ხედავთ ამ მუშაობის ნაყოფსაც. ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა სთქვეს, რომ საქართველოს შეუძლია დამოუკიდებლად იარსებოს. ჩვენ დიდი ხანია ვიდექით ევროპის კარების წინაშე; ევროპისაკენ მისწრაფება ეს ჩვენი წყურვილი იყო, ვინაიდან თუ ჩვენ ვერ მოვიპოვებდით ევროპის განვითარებულ ოჯახის წევრობის უფლებას, ეს დიდი უბედურება იქნებოდა ჩვენთვის და ამიტომ ჩვენ ვიბრძოდით და თქვენ ხედავთ რომ ევროპამ სთქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა საქართველოს შესახებ.

თქვენ იცით, რომ ჩვენი დემოკრატია რევოლიუციამდე რუსის ხალხთან იყო და მასთან იბრძოდა. მაგრამ რევოლიუციის შემდეგ გამოისახა ორი გზა. ერთზე ეწერა რევოლიუცია სტიქიაა და ის მეცნიერულ მეთოდებს არ ემორჩილება, მეორეზე წინაალმდეგ როდესაც ეს ორი გზა ერთმანეთს დაეჯახა ქართველი ერი რუსეთს ჩამოშორდა. მეცნიერულ გზით ჩვენ საკმაო მანძილი გავიარეთ და დღეს ყველა ჩვენგანს უფლება ეძლევა დაინახოს ორივეს ნაყოფი. დიდი რუსეთი გაყვა პირველ გზას და იგი ვერ ასცდა სამოქალაქო ომს; საქართველო გაყვა მეორე გზას და მან გადაარჩინა არამც თუ თავისი თავი, არამედ ყველა საქართველოს ერები. ჩვენ მუდამ ამ გზით განვაგრძობთ სიარულს, ან ამ გზაზე დავიხოცებით. როდესაც ჩვენი ტანჯვა ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა, ჩვენი ვალია მივესალმოთ ჩვენს სიამაყეს, მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები) ჩვენ ვიცით რომ ჩვენი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში უპირველესი როლი ითამაშა ჩვენმა გვარდიამ და ნორჩმა დემოკრატიულმა ჯარმა. მიუძღვნათ გულსწრფელი მილოცვა ჩვენს შეიარაღებულ ძალას და მათ ხელ მძღვანელებს (ტაში).

დღევანდელ ჩვენს დღესასწაულს დიდი თანაგრძნობით შეხვდენ ევროპის დიდი სახელმწიფონი, ჩვენ მუდამ მადლიერათ მოვიხსენიებთ მათ ერს და მიუძღვნათ მადლობა მათ წარმომადგენლებს, რომლებიც დღეს აქ იმყოფებიან (ფეხზე ადგომით ტაშს უკრავენ ევროპის წარმომადგენელთ) დღეს ბრწყინვალე დღესასწაულს დღესასწაულობს ქართველი ერი და ადერბეიჯანი, მაგრამ ამდღეს შავ აჩრდილათ გადაფარებია ის რომ სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობა დაგვიანდა. ჩვენ შეგვიძლია წინდაწინ მიულოცოთ მათაც (ტაში). სამივე რესპუბლიკა უნდა იყვეს დარწმუნებული, რომ მათი ერთად ყოფნა აუცილებელია და დადგება ის დროც, რომ ამ სამ რესპუბლიკათა კავშირს ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ევროპას რომ თავისუფლება მარტო ჩვენთვის კი არ გვინდა, არამედ ამიერ კავკასიის ერთა ძმობისა და ერთობისათვის, დღევანდელი დღე თავდები უნდა იყოს იმისი, რომ ჩვენი ამიერ-კავკასიის მტკიცე კავშირს მტკიცე საფუძველი ეყრება. გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას, კავკასიის ერების მტკიცე კავშირს! (ხანგრძლივი ტაში. ნუსიკა უკრავს ეროვნულ გიმნს.).

გ. ლასხიშვილი. მოქალაქენო! ნება მიბოძეთ ტფილისის ქალ ქის სობჭოს სოციალისტ ფედერალისტთა ფრაქციის სახელით მოგილოცავთ ეს ბრწყინვალე დღესასწაული. ჩვენთვის სოციალისტ ფედერალისტთათვის ამ გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ნება მიბოძეთ გაორკეცებულათ მოგილოცოთ ის. ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნდა ეროვნულ თავისუფლების გარეშე წინსვლა. ჩვენ ვიბრძოდით ამისათვის და ჩვენ გვჯონია, რომ ეს არ არის შემთხვევითი. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ეროვნული თვით გამორკვევის ჟამი დადგა და ის თავისი ლოგიკურ დასკვნამდე მივიდოდა. რევოლიუციის შემდეგ ხალხში დაგროვილი იყო ეროვნული ენერგია და იმან ჩვენ მიგვიყვანა 26 მაისამდე. ეს იყო ჩვენი ხალხის გამარჯვება შინ და ეხლა ჩვენ ვდღესასწაულობთ რომ საქართველო იცნო ევროპამ. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ერის ბრძნულმა მომწიფებამ მიგვიყვანა დღემდე. მაგრამ ეს არ არის ჯერ სრული. ჩვენი ფრაქციის ზარით ჩვენი დამოუკიდებლობა არ იქნება სრული, სანამ სამივე რეპუბლიკის დამოუკიდებლობას არ იცნობენ და ჩვენ ვიბრძოლებთ ამისათვის (ტაში).

შემდეგ ილაპარაკეს დავ ვაჩნაძემ, თალაკვაძემ და სხ.

დასასრულ საბჭომ მიიღო შემდეგი რეზოლიუციები:

მოისმინა რა ცნობა საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ, საქართველოს დედა ქალაქ ტფილისის საბჭო გამოსთქვამს თავისი აღტაცებას ამ ბრწყინვალე გამარჯვების გამო, რომელიც მოიპოვა საქართველოს დემოკრატიამ და თავის სასიამოვნო მოვალეობათ მიაჩნია მოუღოცოს საგანგებო დელეგაციის პირით დამფუძნებელ კრებას ეს დიადი გამარჯვება და აცნობოს, რომ ქალაქის საბჭო და დედა ქალაქის ყველა მოქალაქენი მზათ არიან წინანდებურათ იბრძოლონ მოპოებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად.

მიულოცოთ ბრწყინვალე დღესასწაული ბაქოს ქალაქის საბჭოს, ადერბეჯანის დამოუკიდებლობის ცნობა და ერევნისას ეაცნობოთ ერევნის ქალაქის საბჭოს ჩვენი დღესასწაული და სურვილი, რომ მოკლე ხანში განმტკიცებულიყოს მათი დამოუკიდებლობა.

სტუდენტის დღე.

მიწოდება დაბა-ქალაქებისადმი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობამ პროფესორთა საბჭოს დასტურით გადასწყვიტა ყოველ წლიურათ, 26 იანვარს, იდღესასწაულოს უნივერსიტეტის გახსნის დღე, ამისათვის საჭიროთ დაინახა მთელს საქართველოს დაბა-ქალაქებში აღინიშნოს ეს დღე, როგორც ერთი უღირსშესანიშნავესი დღეთაგანი საქართველოს კულტურის აღორძინებაში. ამ დღეს ადგილობრივ უნივერსიტეტის მეგობრების შემწეობით, უნდა მოეწყოს საღღესასწაულო საღამოები, რომელზედაც ქართველ ერს გააცნობენ დიად მნიშვნელობას ქართული ცივილიზაციის საფუძველის სახელმწიფო უნივერსიტეტისას. ქუჩებში უნდა გაიყიდოს კავშირის მიერ საგანგებოთ გამოცემული გაზეთი და ყულაბებით შეგროვდეს ფული უღარიბეს სტუდენტთა სასარგებლოთ. წინადადება მიეცეს ყველა გასართობებს (კლუბებს, კინემატოგრაფებს და სხვებს), რომ მთელი ამ დღის შემოსავალი ან ნაწილი მაინც გადაიდოს აღნიშნულ მიზნისათვის.

გაცნობებთ რა ამას, უმორჩილესათ გთხოვთ ეხლავე დაარსოთ სტუდენტთა დღის მომწყობი კომისია, გამოიმუშავოთ ადგილობრივი პირობების მიხედვით დღის პროგრამა და გვა-

ცნობოთ რა სახის დახმარება დაგჭ რდებათ ცენტრიდან.

საჭირო და მასთან სასურველიც, რომ ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღონ ყველა ადგილობრივმა სახელმწიფო, საზოგადოებრივმა და სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა.

საქმის მსვლელობისა და კომისიის მუშაობის შესახებ ცნობები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: ტფილისი, თავისუფლების მოედანი, სტუდენტთა სასადილო. სტ. გედეონ სვან ძეს.

სტუდენტთა კავშირის გამგეობა.

მილიციაში.

ა. ეფიმოვას ინიციატივით ტფილისის ქალ. მილიციის კანცელარიის მოსასახურეთა შორის შეგროვდა 1,050 მან. ორ ღარიბ მოქალაქე ილინსკაიას და ბუგაკოვას სასარგებლოდ. თითეულმა მათგანმა მიიღო 525 მან. დიდ მადლობას უცხადებს მოსამსახურეებს, როგორც ინიციატორი, აგრეთვე ილინსკაია და ბუგაკოვა.

—

18 ოქტომბერს, ქალაქთა კავშირმა აცნობა სასხლის სამართ. მილიციას, რომ მათ წარუდგინა გრიგოლ ალექსის ძე არუთინოვმა ყალბი მოწმობა საქართველოს ქალაქთა კავშირისა № 786, რომლითაც უნდა მიეღო კავშირის საწყობიდან 50 ფუთი თეთრი ფქვილი 12,000 მან. არუთინოვი დააპატიმრეს. მან განაცხადა, რომ ეს საბუთი მისმა სიძემ სტეფანე ადოკი-მამედოვმა მიიღო გიორგი დავითის ძე ავეტიკოვისგან, რომელმაც ისესხა მისგან 12,000 მან. და ვითომ ავეტიკოვს შეუტანია ეს თანხა ქალაქთა კავშირში, საიდანაც ამ საბუთით ადოკ მამედოვი მიიღებდა 50 ფუთ ფქვილს ღირებულს 12,000 მან. ავეტიკოვმა ფული მიიღო და დაიმალა და მხოლოდ ათ იანვარს დააპატიმრეს. ის გამოტყდა დანაშაულში და განაცხადა, რომ ის ასრულებდა ბუხჰალტერის თანამდებობას სასურსათო საბჭოს სალიკვიდაციო განყოფილებაში.

რკინის გზაზე

12 იანვარს ტფილისიდან ერევანში გაემგზავრა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთის მთავრობასთან—მახარაძე.

—

3 დღის წინეთ სტანბოლ-ბათუმით ტფილისში ჩამოსული თავრიზის გზის გამგე ინჟ. ტრესკინსკი გაემგზავრა ბაქოში. იმავე მატარებლით ბაქოში გაემგზავრა ადერბეჯანის გზის უფროსი ბეგლიარბეკოვი და ინგლისის მისიის წარმომადგენელი მაიორი რული.

წარლი რედ. მიმართ.

დასახიჩრებულთა კავშირის გამგობა, უმორჩილესად გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშ. გამ. სთხოვს ქვემორე ჩამოთვლილ კავშირის წევრებს გამოცხადდენ კავშირში, მთავრობის მიერ, მათზე გამოწერილ ერთდროულ დახმარების მისაღებად: ახვლედიანი იასონ ალექსის ძე, ბუაჩიძე იასონ ბესარიონის ძე, ბალიშვილი დომენტი სტეფანეს ძე, ბურჭულაძე კონსტანტინე, ბარათაშვილი ალექსი გიორგის ძე, ვარტუმოვი ვართან სტეფანეს ძე, გურიალიძე ნოე სტადანის ძე, გოგიბერიძე ვლადიმერ კარპოს ძე, დოლიძე ივანე ყარამანის ძე, დუმბაძე კოსტა კონსტანტინეს ძე, დონჯაშვილი ვასილი დომენტის ძე, იანოვსკი ალექსი ანდრიას ძე, იოსელიანი ნიკო ონისიმეს ძე, ინდოაშვილი აბრამ ივანეს ძე, კელაპტრიშვილი ივანე სოლომონის ძე, კაპანაძე ვარლამ გაბრიელის ძე, ყანჩელი ივანე სოლომონის ძე, კილოსანიძე პავლე სოლომონის ძე, ლომიძე ივანე ალხაზის ძე, მამულაიშვილი გრიგორი ზაქარიას ძე, მელაძე დავით ფარნაოზის ძე, მარტიროსოვი გეგორგ წყალობის ძე, მიქავა ვარლამ ალექსის ძე, მაღრაძე დავით სერაფიონის ძე, მესროპოვი ალექსი მიხეილის ძე, ოჩიკიშვილი ნიკო სოლომონის ძე, პოლოსოვი ნიკო ბახჩის ძე, სიმონაშვილი იოსებ რაჟდენის ძე, სიმონიანც არტემ ალექსის ძე, სვანაძე ივანე სიმონის ძე, თედორაძე გრიგოლ ვასილის ძე, ფარაულიძე თედო ფილიპეს ძე, ფაზუაშვილი გეგორგ ივანეს ძე, ფეიქრიშვილი ვასილი ივანეს ძე, ხარაშვილი მიხეილ იოსების ძე, ხმალაძე დავით გიორგის ძე, ჭუმბურიძე ნიკო ივლიანეს ძე, შაპოშნიკოვი ალექსანდრე ივანეს ძე, ძაგნიძე ანტონ იასონის ძე, ძნელაძე მარკარი ვარლამის ძე, ჯაჯნოვი დიმიტრი, გიორგაძე ილარიონ სიმონის ძე, კაჭკაჭოვი სტეფანე იოსვების ძე, ნიჭაბაძე გიორგი მაქსიმეს ძე, ჟღენტი ვალერიან კონსტანტინეს ძე, ოტიაშვილი გაბრიელ ალექსის ძე, სუხიაშვილი მიხეილ ვასილის ძე, ცაბაია ფილიპე სტანისლავის ძე, ტატიევი ივანე სიმონის ძე, ბეგაძე პეტრე იოსების ძე, თოხაძე ივანე ავსენტის ძე, ხერხეულიძე ესტატე გიორგის ძე, გაბრიელაშვილი გიორგი ილარიონის ძე.

კავშირის გამგეობა.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ვეძებ ადგილს

სახელმწიფო, საზოგადო ან კერძო დაწესებულებაში საქმისმწარმოებლის, რეგისტრატორის, მანქანით გადამწერის ან სხვა თანამდებობაზედ. მისამართი: სასტუმრო „საქართველო“, 19 თებერვლის ქ. ს. ებრალიძე. 3—3

სიჩხერის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მცხოვრებ სოფელს ითხვისში, შორაპნის მაზრისა პლატონ სპირიდონის ძის ჩინჩალაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განცხადონ თავიანთი უფლება ჩინჩალაძის ქონებაზე 1241 ბუხ. სამოქ. კან. ტ. X ნაწ. I აღნიშნული ვადაში.

0376 1—1

ჩოხატაურის მე 2 უბნის მომრიგებ. სასამართლოს ბოქაული ა. სანიკიძე, მცხოვრები დ. ჩოხატაურში თანახმად 1030 მუხ. სამ. წ. აცხადებს რომ 28 იანვარს 1920 წ. დილის 10 საათზე ის გაყიდის საჯარო ვაჭრობით მოძრავ ქონებას ასმათი თევზაძისა, ხუნდაძის ასულის. ქონება შესდგება: 1. ნიგვზის ხის შკაფისაგან, რვა უჯრებით, დაფასებულს რვაას მანეთად (800 მ.) 2. ერთი რკინის ტახტისაგან, სიგრძით სამ არშინ ნახევარი, განით ორი არშინი, დაფასებული ექვსას მანეთად (600 მ.) და 3. ერთი წაბლის ხის ხულისაგან, დახურულის ყავრით, აწერილის ასაღებად და ასაშალად, დაფასებულის ათას მანეთად (1000 მ.), სულ 2400 მან. დასაკმაყოფილებლად მომჩივანი აკაკი დავითის ძე ხუნდაძისა 2040 მან. აღსრულებითი ფურცლის ძალით, რომელიც გაცემულია ჩოხატაურის მე-2 უბნის მომრიგებელი მოსამართლის მიერ 30 ოქტომბრიდან 1919 წელს. № 252. ეს ქონება შეფასებულია 2400 მან. რომელთანხიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ვრცელი აწერილობა მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ბოქაულის კანცელარიაში დ. ჩოხატაურში, თ. ერისთვის სახლში. ვაჭრობა იქნება სოფელ კალაგონში, ზემოხეთის თემისა, ოზურგეთის მაზრისა, მოპასუხე ასმათი თევზაძისა ხუნდაძის ასულის ეზოში. 0523 1—1

ნიკოლოზ პროკოფის ძე პაპოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ს. სართიჭალაში ჩემოდანი, რომელშიდაც იყო: საცვლები, ტანსაცმელი ერთი ხელი და დოკუმენტები. მათ შორის უვადო პასპორტი და რკინის გზის სამმართველოს კანცელარიიდან აღებული დათხოვნის მოწმობა. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

64 3—1

კეზრა იზრაელის ძე გორელიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 1773, აღებული ნოემბრის 24 ს 1919 წ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

64 3—1

დაკარგულია ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილ. ოლქ. სასამ. უფროს ნოტარიუსის მიერ 1908 წ. ივნისის 20 ს, რეესტრი 1370, მიცემული არტემ (იგივე არუთინ) იაგორ და სერგი გარიბისძეთ ბაღდასაროვებზე მამულის, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისში, ფრეილინის ქ., № 9.

56 3—1

სისხლ. სამ. წარმ. წეს. მე—846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ თიონეთის მაზრის უოფილ უფროს გრიგოლ სტეფანეს ძე ბაგურინს, რომელსაც ბრალდება, სასჯელი გათვალისწინებული მე-2 ნაწ. 348 მუხ. სასჯ. დებ. დამალულის ნიშნებია: 54 55 წლისა შუა ტანისა, გრძელი ცხვირი, ფერ მიხდილი.

ყველა, ვინც იცის გრიგოლ სტეფანეს ძე ბაჩურინას ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საპეკუნო გამგეობას. 17 1—1

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო 1919 წ. 24 ნოემბრის დადგენილებით თანახმად სამხედრო სამოსამართლოს წესდების 951 მუხლის, ეძებს მე-4 შულავერის სანაპირო რაზმის ჯარის კაცს გრიგორი სიმონის ძე კლიმუკოვს 20 წლის, ერევნის გუბერნიის მცხოვრები, ალექსადროპოლის მაზრის, სოფელ ღუალალ ოგლი, რომელსაც ბრალი ედება მე 15 და 373 მუხ. და 16-160 მუხ. XXII წიგნ. ს. დ. კ. 1869 წ. გამ. 4.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება ჯარის კაცი კლიმუკოვი ვალდებული არის განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში ოლლას ქუჩა № 48.

314 1—1

ოგანეზ იაკობის ძე კაზარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ქ. ყარსში, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

45 3—3

იაკობ ალექსანდრეს ძე მღებროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 3202, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 47 3—3

თედორე პროკოფის ძე ეროხინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული კარაი-სალტიკოვის (ტამბ. გუბ.) სამმართველოდან 1918 წ. აგვისტოს 18 ს, მოწმობა იქაურ პირველ დაწყებითი სასწ. დამატებითი კურსების დამთავრებისა, ელექტრიკების პროფესიონალურ კავშირის საწევრო წიგნაკი. მპოვნელს თხოვს მიუტანოს კინემ. „მინიონის“ კასაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ითვლება. 3—2

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო 1919 წ. 24 ნოემბრის დადგენილებით თანახმად სამხედრო სამოსამართლოს წესდების 951 მუხლისა, ეძებს, ჯარის კაცს მე 3 დარიალის სანაპირო რაზმის შტაბს-კაპიტანი სოზიაშვილი, რომელსაც ბრალი ედება 1 ნ. 160 მუხ. XXII წიგნ. ს. დ. კ. 1869 წ. გამ. 4.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება შტაბს-კაპიტანი სოზიაშვილი ვალდებული არის განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში ოლლას ქუჩა № 48. 314 1—1

ფედორა პაველეს ასული სკალევსკაია აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 50 3—3

ასლან ბესარიონის ძე გურული აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, ზესტაფონის ერობიდან აღებული მოწმობა და ფული 800 მანეთი. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უ) 3—3

გიორგი ზურაბის ძე დოლიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა იარაღის ტარების მოწმობა № 132, აღებული ფოთის სახალხო გვარდიის შტაბიდან. ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 51 3—3

სტეფანე იესეს ძე ქილიფთარი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 141, აღებული ოზურგეთის სამაზრო კომისარიატიდგან და სამხედრო ბეგრის მოხდის მოწმობა № 1370, აღებული მცოთხე პოლკის კანცელარიიდან 1917 წ. ივნისის 26 ს. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

40 3—3

ალექსანდრა ტერენტის ასული ალიმბარაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 16568, აღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 41 3—3

აკაკი გურგენიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 232, აღებული რაჭის მაზრის ს. ზემოთლულის საზოგადოებიდან, სტუდენტების სასადილოსათვის ქალაქის მართველობიდან პურის გამოტანის (9 ფუთი) ნებართვა (მოწმობა). მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

37 3—3

მიხეილ თომას ძე ნიკურაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ქუთაისის ოლქის სასამართლოდან 1919 წ. ნოემბრის 8-ს № 2168. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 52 3—3

ალექსი მამისთვალის ძე ჩაჩუა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ს. ოფეთში, გომის საზოგადოებიდან (ქუთაისის მაზრა). პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 53 3—3

აბრამ გასპარის ძე ანფოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 854, აღებული სახელოსნო სკოლის კანცელარიიდან 1919 წ. ნოემბრის 21 ს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 44 3—3

ანტონ იაკობის ძე ბანეთიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა და პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 42 3—3

ქალ. ზესტაფონის დარაჯი ანთიმოზ იოსების ძე გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 2070 და იარაღის ტარების მოწმობა № 246. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

38 3—3

პლატონ ოქროპირის ძე ხარატიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული შორაპნის მაზრა სოფ. ღვერკის კომისარისგან 8/XII 1919 წ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 24 3—3

მიხეილ ალექსის ძე დათეშიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა ამბროლაურის კომისრის კანცელარიიდან აღებული და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა. მოწმობები გაუქმებულად ჩაითვლება. 29 3—3

ტფ. სამხედრო გინათა დისტანცია

აცხადებს, რომ თებერვლის 7-ს ამა 1920 წ. დანიშნულია პიროვნული შეჯიბრება ჯარის მისაცემად ტფ. გარნიზონის ბინებიდან უსუფთაოების და ნაგვის გახდვის შესახებ. მსურველს შეუძლია შემოიტანოს თხოვნა პირობების აღნიშვნით არა უგვიანეს 1 თებერვლისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კანცელარიაში (ინჟენერის ქუჩა № 2) დილის 10—3 საათამდე. 5—1 63

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა. წ. 29 იანვარს დილის 10 საათიდან, ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი და ბაგაჟი.

ტვირთი: გომიდან—ტფილისი, რიგ. № 689, სატვ. ბარ. № 115418, გამგზავნელი (ქალაქთა კავშირი), მიმღები—სახალხო გვარდიის შტაბი, 152 ც. ბზე წონით 398 ფ.

გორიდან—ქუთაისი, რიგ. № 665, სატვ. ბარ. № 96664 (გამგზავნელი ა. ჯულაბოვი, მიმღები ნ. ბეთანელი) 8 ც. ქაღალდი შესახვევი 20 ფ. ახალსენაკიდან—ფოთი, რიგ. № 660, სატვ. ბარ. № 30799 (გამგზავნელი ა. გვაძებია, მიმღები ა. გვაძებია) 2 ც. ფოტოგრაფიული აპარატი 9 ფ. 20 გ.

უსაბუთო ტვირთი: აქტით სადგ. ტფილისი, № 2995, რიგ. № 670, 68 ც. მუხის ქერქი 213 ფ. აქტით სად. ტფილისი № 3110, რიგ. № 690, 39 ც. ბზე 69 ფ. აქტ. სად. ტფილისი № 2988, რიგ. № 669 20 ც. ცარიელი ყუთები 10 ფ. 18 გ.

ბაგაჟი: კოპიტნარიდან—ცაგვერი, № 7148, რიგ. № 642, 1 ც.—37 გ. ქუთაისიდან—ცაგვერი № 3245, რიგ. № 688—1 ც.—4 ფ. 25 გ. სადახლოდან—სანაინი № 12557, რიგ. № 675, 1 ც.—20 გ. სადახლოდან—ტფილისი, № 12712, რიგ. № 677 1 ც.—2 ფ. 5 გ. სანაინიდან—ტფილისი № 11984, რიგ. № 675, 1 ც.—35 გ. ბორჯომიდან—ტფილისი, № 53749, რიგ. № 674, 1 ც.—15 გ. აბაშიდან—ტფილისი, № 41638 რიგი 686, 1 ც.—2 ფ. სალოლლიდან—ტფილისი, № 82752, 3 ც.—4 ფ. 20 გ. ქუთაისიდან—ტფილისი № 51872, რიგ. № 656 2 ც. 3 ფ. 19 გ.

ხელ სატარებელი ბარგი ბარგის შესანახი ოთახიდგან: აქტით სად. ტფილისი № 727, რიგ. № 683 (კვიტანციით № № 11, 134514, 13, 1, 10, 8) 6 ც. წონ. 4 ფ. 7 გ. აქტით სად. ტფილისი, № 728, რიგ. № 682 (კვიტანც. № № 36314, 6, 5) 5 ც.—6 ფ. 32 გ. აქტით სად. ტფილისი, № 723, რიგ. № 680 (კვიტ. № 33072) 1 ც.—15 გ. აქტ. ს. ტფილისი № 724, რიგ. № 681 (კვიტ. № 35512) 1 ც. 1 ფ. 20 გ. აქტ. ს. ტფილისი, № 722, რიგ. № 679 (კვ. № 36001) 1 ც.—1 ფ. 31 გ. აქტ. ს. ტფილისი, № 725, რიგ. № 678 (კვიტან. № 34434) 1 ც.—20 გ. აქტ. სად. ტფილისი № 726, რიგ. № 672 (კვ. № № 23165, 36042, 32445, 19833, 7, 32604, 12155, 24169) 10 ც.—7 ფ. 5 გ. 17 3—3

სტამბა საქართველოს მთავრობისა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი